

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. Въ редакцію „Дროება“.

ბაჭყალიშის ფასი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., სამის თვის— 3 მ., ერთის თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ხელმწიფე დროებას ბარად

ფასი განსხვავებულია: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., სამის თვის— 3 მ., ერთის თვისა— 1 მ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლებში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дროება“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაზეთისა— 8 მ., ერთის თვისა— 1 მ.

ხელის - მოწერა

გაჭირვებულ მოკვლავთათვის.

სია მეთაობზე.

რედაქციამ მიიღო გუშინ სამოცდ-თერთმეტი მან. და ორი შაური ბარის უფზდის სოფელს რუისში მოგროვილი მ. ღვეკანოზოვის კეთილშობილურის თაოსნობით.

პი სია შემწვირვებლისა:

მაშა ღვეკანოზოვი—10 მან., ბიორგი

ღვეკანოზოვი—5 მან., ილია ღ. სიციველი—3 მან., ღიმ. ღვეკანოზოვი—3, სოფიო ღვეკანოზოვისა—3, ბარბარე ღვეკანოზოვის—3, ანნა მამაცაშვილისა—2 მან., ქეკე. სამთლიკუდოვისა—2, მანო ხიმშიაშვილი—2;

მითო მანეთი შემოსწირეს: სიღონია ღათისაშვილისა, სანდრო გვარამაძემ, ღვეთ ღვე. ღვეკანოზოვი, სალოავე, ანნა სააკ. და ალათია მამაცაშვილებმა, იე. ბ. ქლიმივემა, მარინკა ღოლოაძისა, მარინე ბიუნაშვილისა, საშა გვარამაძისა, მაიორმა ღვეკანოზოვი, სოლომონ ღვექვივემა, იოსებ ქამოვემა, ივანე და სანდრო ბერუაშვილებმა, ბიორგი, ივანე და ბაგო შობლიანძეებმა, მასილ ღურულიმ, იოსებ ტატულაშვილმა, მის. ბარიშვილი, იე. კეჩუაშვილმა, იობ ღალიანძემ, თეიმურაზ ქაპანაძემ, პოეტალამ (?) და ბიორგი ჩუბინიშვილმა;

ათ-ათი შაური შემოსწირეს: მისილ და მინაღორა ქლიმივეებმა, იოსებ ინაურიმ, შურაბ ტეხაშვილმა და ალექს. შველენიშვილმა; ბიორგი ღომაურმა სამი აბაზი:

ღორ-ორი აბაზი: აბრ. ბუქულაშვილმა, ივანე პალიაშვილმა, ბლახა შიორელიმ და ტატო ჩიქლაძემ; შვიდი შაური პავლე შიორელიმ; ექსი შაური ზა-

ქარია თედელურმა.

მითო აბაზი: მართა და ბიგო ბელღიაშვილებმა, ტატო გვარამაძემ, მოსეს ღოვლათბეგოვმა, ზაქარია აზარბეგოვმა, მის. ბათივემა, სოლომონ ზუბაშვილმა, მანო ბედელურმა, მელქო ბოგიაშვილმა, ნიკო სოხასტელმა, ილია გვარამაძემ, ილიაონ მერებაშვილმა, ღვეან ასატუროვმა, სოფიო ბასიშვილისა, ტეტია და მოსე ნატრიაშვილებმა, ნონია ღალიაქიშვილმა, ბუჯანა ბოგიაშვილმა, ალექს. როსტევეანოვმა, წყალობა და ზაქარია ქოქლაშვილებმა და ღათა შობლიანძემ.

სამ-სამი შაური: ბლახა შორჩაშვილმა, ბაგო წერეთელაშვილმა, მის. აუქომა, მელქუაშვილმა, ზაქარია ღომაურმა, მანო და ბაბრ. მელქუაშვილებმა, იე. ბერუაშვილმა და ბიორ. აღრიჭაშვილმა.

ღორ-ორი შაური: ღიმიტრი მლოჩინმა, ნენე ბაგნიძისა, იე. ბარიშვილმა, ბაგა ტერტრაშვილმა, იე. შიტიაშვილმა, ბიორგი წიქარიძემ, მოსიკა ჯაღბორდიმ და სოლ. ქურთიშვილმა.

ბოდილა—8 კაპ., იე. ზოლბორდიმ—7 კაპ. სხვირხედ სხვირმა (?)—3 კ.

სულ — — — 71 მან. 10 კაპ. აღრინდელი იყო— 431 „ 84 „

სულ არის—502 მან. და 94 კაპ

ფელტონი

კაიროლის სახლობა

(ბარბელებმა)

1859 წელს ბარიბალდომ შეადგინა რევოლიუციონერებისაგან რამდენიმე პოლკი „პოპისის მსროლელებისა.“

მარნესტო და ბენედეტო ირიცხებოდნენ ამ პოლკში, უკანასკნელი უბრალო სალდათად, თუმცა ათის წლის წინათ მიეღო კაპიტნის ჩინი. მესამე ძმა, ლუიჯი, რომელმაც კარგათ იცოდა მათემატიკა და იყო ნასწავლი სამხედრო სკოლაში, შევიდა ვაწროთენილ არმიისაში. მეოთხე ძმა, მარკო, ჯერ დარჩა ღამბარდიაში რევოლიუციის მომხრეების მოსაგროვებლად და მერე კი მიემხრო თავის ორ უფროს ძმას და შევიდა „პოპისის მსროლელთა“ პოლკში. უკანასკნელი ძმა, ჯოვანი, სწუხდა, რომ, ახალგაზდობის გამო, ვერ მიდიოდა ომში; დედამ გაგზავნა ის ტურინის არტილერიის სკოლაში.

23 მარტს ავსტრიის ყაზარმის აფიცრები მერეში ათავებდნენ ვაზამა, როცა ერთბაშად წაადგა იმათ თავს ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი.

— მინა ბრძანდებით? ჰკითხეს იმას.

— თქვენ ხართ ჩემი ტყვენი, უთხრა სტუმარმა. მე ვარ ბარიბალდი...

აფიცრები დაემოხრჩილნენ იმას, რადგანაც ეგონათ, რომ ბარიბალდი მთელი თავის ჯარით იყო, მაგრამ ის მერეში სრულებით მარტო მივიდა. იმის აღპის მსროლელნი მოვიდნენ ერთი საათის შემდეგ და დაიჭირეს ქალაქი მაქტორ-მანუილის სახელობით. მორგებე მხიარულებდა ორი დღე, ვინამ გაიგებდნენ 25 მარტს, რომ ავსტრიელები მოდიანო. სიჩქარით ააშენეს ბარბიკადები პომის გზაზე, და იქ ელოდნენ მტერს ვოლონტიორები.

მათენებისას ავსტრიელები მოვიდნენ, შრბანი წინ მოუძღოდა ამათ. იმათა ჰქონდათ ზარბაზნები; იტალიელებს კი მარტო ხიშტები და ვაჟაკოცობა.

ძმები პაიროლები პირველ რიგში იყვნენ და თავიანთ ძმა-ამხანაგებს თავის მაგალითითა და სიტყვით ამხნეებდნენ.

ავსტრიელები ჯერ იერიშით მოვიდნენ, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ძლიერ უმაგრდებოდნენ იტალიელებს. ორი ძმა, მარნესტო და მარკო, ყველაზე წინ იბრძოდნენ. შეცრად მოისმა მამაკედების ხმა:

— ბაუმჯოს იტალიას!

ღა უფროსი ძმა წაიქცა. ორი ტყვია ერთად მოხვდა იმას გულში. მარკომ დაკოცნა გადაყვითლებული სახე ძმისა და გადასცა მამაკედევი იმათ, ვისაც უნდა გადაეტანათ, თითონ კი უცრემლოთ წავიდა წინა. სამი საათის ომის შემდეგ, ავსტრიელები გაიქცნენ.

მარნესტო იყო საყვარელი ახალგაზდა კაცი, ცოტა გულ-დახურული, თითქო გრძობდარო სიკვდილის სახლოვეს. იმას დაეწერა ანდერძი, რომელშიაც არც ერთი თავისიანი არ დავიწყებოდა და ეთხონა, რომ გაეყოთ იმათ შუა იმისი მცირე ქონება. უკანასკნელი სიტყვა იმისი იყო მიმართული „ერთის და განუყოფელის წმინდა იტალიისადმი!“

მილაფრანკის შერიგების შემდეგ, პოპისის მსროლელნი დაიბრუნეს ბენედეტო და მარკო დაღონებულნი დაბრუნ-

სამართველო

დღიური

* * * აქარების გადასახლების თაობაზედ გაზეთის „მაცკაზას“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ოფიციალური შენიშვნა იქაურობის მაზრის უფროსის უფ. სტეფანოვისა. მკითხველი ნახავს, რომ ამ შენიშვნაში მოყვანილი ცნობები თითქმის სრულიად არ განიხილებიან იმ ცნობებისაგან, რომელნიც, ამავე საგნის შესახებ, იყვნენ ამას წინააღმდეგ გაზეთში მოყვანილი. აი ეს შენიშვნა:

„ამ უკანასკნელ დროს შეკრებილის ცნობებიდან სჩანს, რომ აქარის მაზრაში, ე. ი. ზემო და ქვემო აქა-ში და მაჭახლში ითვლება სულ 5,458 კომლი. სამერალიური აღწერა ჯერ აქ არ მომხდარა და ამ სამი წლის განმავლობაში, გვერებ, არც მოხდება.“

„ამ რიცხვში მსმალეთში გადასახლება ისურვეს: ზემო-აქარადამ—16 კომლი და ქვემო-აქარადამ—1,115 კომლი; ამათში 899 კომლი მიიღო გადასახლების მოწმობა, დანარჩენ 216 კომლი არ ისარგებლა იმათთვის დახადებულის ბილეთებით, არაფერ არ გამოცხადდა ბილეთების მისაღებად. მაჭახელიდამ 279 მოსახლემ მიიღო მოწმობა, მაგრამ ამათში მხოლოდ 90 კომლი გადასახლდა; დანარჩენი 189 კომლი აღარ მიღან.“

„ამასთანავე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ხშირად ერთი ოჯახიდან ორი და სამი კაცი მოდიან ბილეთების მისაღებად, რადგან ამნაირად იმედი აქვთ, რომ მსმალეთში ბილეთის-დაგვარად უფრო მომეტებულ სამოსახლო ადგილს

მიიღებენ; მაშასადამე გადასახლებულთა ბის რიცხვი ნაკლები უნდა იყოს.“

„აი თითქმის ეს ერთი თვე გადის, რაც აქარადამ არც ერთ კომლს არ გამოუცხადებია გადასახლების სურვილი. მტყობა, ხალხმა შეიტყო—თუ რა გაჭირებას ითმენენ მსმალეთში გადასახლებულები და ამიტომ აღარ მიდიან.“

„ზოგიერთი დაბრუნებულები ამბობენ, რომ გადასახლებული ხალხი დიდს გაჭირებაში არიანო: მსმალას მთავრობა იმათ არაერთარ იწასა და შემწეობას არ აძლევს და ამისგან ბევრი უკან მოვა ისევო.“

„მიწეზა ამ ხალხის გადასახლებისა და დეღისა იყო ქვემო-აქარელი (სოფ. ქედის) მცხოვრები მსმალ-თა მთავრი, რომელსაც რაღაც დიდი აღმინისტრაციული თანამდებობა აქვს ტრაპიზონისაკენ. ამის მამხრეები უქადაგებდნენ და აგონებდნენ ხალხს, რომ რესები იმათ სალდათად გაიყვანენ, რომ ცოლების დამალვა რუსის კანონით აღარ შეეძლებათ, რომ ძალად მოაქროს ტიანებენ ამათ და სხვ.“

„მაგრამ ახლა ხალხი ცოტ-ცოტათი ხედავს, რომ ეს მქადაგებლები ატყუებენ იმათ და ამის გამო აღარ მიდიან, სოფლის მუშაობას ჰკიდებენ ხელსა.“

* * * მთუთისიდან გვეწერენ, რომ, რაგორც თქვენ უჩივით მანდაურ სიცხეები ჩვენც ისე ვართ აქ სიცხისაგან შეწუხებულიო. მრ კვირაზე მეტია, რაც აქეთკენ ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა ზევიდამო, დედა-მამა მეტის განმობისაგან დასქდაო და სხვ.“

„ამ სიცხისაგან შეწუხებული ხალხი მუდამ საღმობით ბლღვარში მიეშურებო, რომ ჩრდილში დაჯდეს და ცო-

ტა სული მოიბრუნოსო. მკითხველნიც ისე ცოტა სკამები არიანო. და იმდენ ხალხი გროვდებაო, რომ ნახევარიც ვერ პოულობს დასახლდომ ადგილსაო. მარესპონდენტი თხოულობს, რომ მთუთისის ქალაქის მიმგობამ მიქციოს ამ გარემოებას ყუ აღლება, სკამები მოუმატოს ბულვარში...“

* * * მაცკაზიის სამასწავლებლო უწყების მთავრობას განზრახვა აქვს, რომ მთუთისის სავაჭო ხუთკლესიანი პრაგმაზა ექვ კლასიანად გარდააკეთოს და ამას გარდა მოსამზადებელი კლასიც გამართოს ამ საწავლებელში.“

* * * ზორის ახალქალაქიდან ვეწერენ, რომ მუდამ წელიწად თან-და-თან უფრო მომეტებულა ხალხი მოდო აქ საზაფხულოთაო; წესი მანკ ძალიან ბევრი არიან ქალქდასაო, რადგან ჩვენი სოფელი კარგი, გროო საზაფხულო ადგილიაო.“

მაგრამ აქაურ ვაჭრებმა—სოხებმა, ამ ხალხის მოკროვება გამო, ვაძკარეს ამ ქადად ყოველგვარი ხორაკო, განსაკუთრებით კვერცხი, ვარება და სხვა იმავე ფასად ისყდება, რაგორც ქალაქშიო. ამას გარდა სახლკაც ძალიან გააძკარეს ზოგიერთიო; აქა ვაჭო ზოგიერთები დაფრთხენ და მოქალაქეებს აქეთკენ საზაფხულოდ მოვლას აღარ თქრობენო.“

„ამავე კორესპონდენტის სიტყვით გასული თვისს 29-ს იქაურ ბავშვებს წარმოუდგენიათ რაღაც რუსული პიესა სოლოგუბისა და ამ წარმოდგენიდან შემოსულა. 25 მან რომელიც ახალქალაქის სასოფლო შკოლას შესწირესო. მთავე არაფერ ამოგვიჩნდა, რომ ქართული სპექტაკლები გამართოა წელსაო, თო-

დნენ შინ; პირველი თვის სამოქალაქო მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მეორე კი ექიმობას. მალე იმათ შეუერთდა ლუიჯიცი, რომელიც მორიგების შემდეგ გამოვიდა სამსახურიდამ, რადგანაც სამხედრო სამსახური არ მოსწონდა იმას მშვიდობიანობის დროს. ის იყო პოეტი და ხელოვნების შესწავლით სტკებოდა.“

„მში ცოტას ხნით იყო შემდგარი. მეორე წელიწადს ბარიბალდი გადავიდა მარსალუში; ვინ არ იცოს—როგორი აღტაცება აღძრა ამ ლაშქრობამ: ცნობის-მოყვარე, საქმის ხალხი, რომელნიც მიდიოდნენ ქართოში, ბენუეზის წყალში, იმის სანახავათ, თუ როგორ მიდიან ბარიბალდიელებო, თითონაც სხდებოდნენ ხომალდებზე და მიდიოდნენ იმათთან ერთად ლაშქარში. ეს ლაშქრობა ძალიან საშიშარი იყო; ყველანი დაწმუნებული იყვნენ, რომ ეს ახალგაზღობა სულ დაიხრცებოდა. ბენედეტო და მერიკო ყველაზე პირველად ჩაეწერნენ ვოლონტიორების რიცხვში და თან მიიზიდეს პავისის პატრიოტები და სტუდენტები. ას სამოცა უკანასკნელნი იყვნენ ბენედეტოს ხელქვეითნი.“

15 მაისს ოთხი ათასი ბურბონისტი (ავსტრიელი) გამოვიდნენ ამათთან საომრათ ძალადათმისთან. ბარიბალდი, მშვიდობიანათ ბალახზე მჯდომიარე, ელოდა იმათ. ბურბონისტები შორიდან აფუტებდნენ ბევრს თოფის წამალს; ესენი-კი უპასუხებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ტყვია მისწვდებოდა. შემდეგ ბარიბალდი შეხტა ცხენზე და დაიყვირა:

„—წინ წამოდით, შეილებო, ხმებებით!“
და მივარდა იმათ. არც ერთი ტყვია იმას ახლო არ მიჰკარებია. მერიკო ძაიროლიმ ოთხის ამხანაკით მოიტაცეს ზარბაზანი. რამდენიმე საათის შემდეგ, ბურბონისტები გაიქცნენ და მზის ჩასვლის დროს ბარიბალდი მოაგროვა თავისი მხნე პატრიოტები, მაუშვირა ხელი მერიკო ძაიროლის კაცებზე და შემდეგი სიტყვები უთხრა იმათ:

„—ამათთანა ერთი მუჭა ხალხით მემთელ ქვეყანას დავიპყრობ!“
ამ ბრძოლის დროს ბენედეტო დასჭრეს ფეხში; მერიკომ, რომ ნახა მისი სიკვდილი, როგორც გიფი ისე იბრძოდა: ამას მოხვდა თავში ტყვია და იქვე დავარდა ძირს. ტყვის ამოღება დაასწრეს;

მაგრამ ბენედეტო სრულიად კი ვერ მოჩა თავის დაჭრილობისაგან.“

მერიკოს და ბენედეტოს აღარ შეეძლოთ ლაშქარში ყოფნა; ლუიჯიმ კი, რომელიც აწარგდა ერთი მშვენიერი ქალის შერთვას და ძალიან უყვარდა, დაანება თავის საცოლოს თავი და წავიდა საომრათ. ის შევიდა სერტორატის დივიზიაში პოდპორუჩიკის ჩინით და გამოიჩინა თავისი თავი ვაჟკაცობითა. ბარიბალდიმ მოიგონა ეს თავისი ძმებით თავის პროკლამაციაში, სიცილიის დედაკაცებთან და უჩიია იმათ, რომ მაგალითათ ადელიადა ძაიროლი ყოლოდათ.“

„ლუიჯი, რომელიც ყველგან დაზღვედა თავის დივიზიას, შეიბრაღეს ტყვიებმა, მაგრამ ძალადრიის მზის სიცხეს ვერ გაუძლო: ის განდა ავით მოხენტამი, და გადაიცვალა 13 სექტემბერს 1860 წელს.“

იმ დროს აიღეს ქალაქი და მცხოვრებნი სინარულისაგან აღტაცებული იყვნენ; ყოველ დღე ხალხი ბარიბალდისა და მიქტორ-მანუელის სახელს ლოცულობდა.“

თარგმანი მ. ც —ლისა, (შემდეგი იქნება.)



რემ ხალხი ბლომად მოვა და ამნა-
ირად ჩვენს ღირსეულ მოსახლეს
შემწეობას აღმოუჩინესო.

„დროების“ კორესპონდენცია

მზურგეთი, 3 ივლისი. მით წელი-
წაღზე მეტია, რაც მზურგეთის გამსეს-
ხებელ-შემნახველ ამხანაგობას არსე-
ბობს, მაგრამ მისი მოქმედება ისე უჩი-
ნარია, წვერები მას ისე ცოტა ჰყავს,
რომ მისი არსებობა არამთუ „დროე-
ბის“ მკითხველებს უმეტეს ნაწილს არ
ეცოდინება, არამედ თუ „მზურ-
გეთშივე ძლიერ ცოტანი არიან იმის
მცოდნე.

მიზეზი ამხანაგობის ამისთანა მდგო-
მარობისა ერთის მხრით არის, ჩემის
აზრით, მოთავეების გულ-კრილობა. რამ-
დენად ამ მოთავეებმა პირველად ენერ-
გიულად და გულ-ხსურვალედ დაიწყეს
საქმე, იმდენად ეხლა იგინი ხელ-ამწე-
ბულნი და გულ-აქურგებულნი არიან
მანად

მეორეს მხრით ამხანაგობას ძლიერ
უშლიან ხელს ზოგიერთი გარეშე პი-
რები, რომელთაც სხვა-და-სხვა მიზეზე-
ბის გამო თვითონ არ მიუღიათ მოწა-
წილეობა ამხანაგობაში და სურსთ, რომ
არც სხვებმა მიიღონ. ამისათვის იგინი
ქადაგობენ, რომ ამხანაგობა ვერავი-
თარ სარგებლობას ვერ მოიტანსო: იქ
შეტანილი ფული დაკარგულიაო; თუ
ეს ამხანაგობა რამე სასარგებლო ყოფი-
ლაყო, იმაში მიიღებდნენ მოწაწი-
ლეობას ეს და ეს საპატიო (ჩინიანებს
ასახელებენ) კაცებიო, და სხვ. სამწუხა-
როდ, ამისთანა ჰქადაგებენი ბლომად
პოულობენ თავის თანამგობრებს.
მაგრამ იმათ ვერ შესძლეს მზურგეთის
გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის სრუ-
ლებით გაუქმება.

ამ გაუქმების მიზეზი, როგორც სჩანს,
იქნება იქერეთის ეპისკოპოსი. მკითხვე-
ლი გაკვირდება ამისთანა დამოკიდებუ-
ლებზე მზურგეთის გამსესხებელ-შემ-
ნახველ ამხანაგობისა და იქერეთის ეპის-
კოპოსის შორის; მაგრამ მე ეხლავე
განუმარტებ, თუ რაში მდგომარეობს
საქმე.

ამხანაგობის დაარსებისათნავე „დრო-
ებაში“ მოხსენებული იყო, რომ ბა-
რიელ ეპისკოპოსმა კასისთვის საჭირო
წიგნების მოსაპოვებლად შესწირაო ამ-
ხანაგობას, მაგონია, ათასი მანეთიო;
მაგრამ ეს ცნობა არ გამოვიდა მართა-
ლი. ეპისკოპოსს ამ ფულების შეწირვის
სურვილი არ ჰქონებია; იგი მხოლოდ
აძლევდა ამ ფულებს ამხანაგობას სეს-
ხად, მაგრამ იმისთანა პირობებით, რომ-
ლებზედაც ამხანაგობა ვერ დათანხმდა
და ამიტომაც ვერ მიიღო ეს ფულები.
საქმე კი ამით მაინც არ გათავებულა.

მზურგეთის გამსესხებელ-შემნახველი
ამხანაგობა ავრცელებს თავის მოქმედ-
ებას გარდა თვით ქალაქისა ოთხ სოფ-
ლის საზოგადოებებზე: შემოქმედის,
ლიხაურის, ღვებულის და ბახვის სოფ-

ლის საზოგადოებებზე. ამ უკანასკნელ
საზოგადოებაში, რომელიცაც არის
თვითონ ბაბრიელ ეპისკოპოსი, ამას
ჰყავს ბევრი ნათესავეები და სახლი-კა-
ცები. ამათა შუამდგომლობით ამხანა-
გობის და ბაბრიელ ეპისკოპოსის შუ-
შემოხსენებულ ფულების შესახებ მო-
ლაპარაკებას აღარ აქვს დასაბუთი.

უკანასკნელი და გარდაწყვეტილი პი-
რობა, რომელსაც წინა-უღებს ეხლა
ბაბრიელ ეპისკოპოსი ამხანაგობას, მდგო-
მარეობს იმაში, რომ იგი შეიტანს ამ-
ხანაგობაში ათას ხუთას მანეთს იმ
შემთხვევაში, თუ ამხანაგობა გადატანი-
ლი იქნება ქ. მზურგეთიდან სოფელს
ბახვს. მაკითხვა, სინამდის იმ არ იქნე-
ბა გარდაწყვეტილი, დიდად ენებს ამხა-
ნაგობას, რადგანაც ბევრს სურს ამხანა-
გობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ
ვერ გაუბედნიანთ, იმიტომ რომ არ იცი-
ან, სად იქნება ამხანაგობა და მასხა-
დამე არ იციან გამოსადგფი და სასარ-
გებლო იქნება მათთვის ეს ამხანაგობა,
თუ არა. აქიტომ სასურველია, რომ
ეს კითხვა მალე გადაწყვიტოს ამხანა-
გობის საზოგადო კრებამ.

ბახველები იმისთანა სიხარბით მოე-
ლიან ეპისკოპოსიდან უპირებულ ფუ-
ლებს და იმდენად დარწმუნებულნი არი-
ან, რომ მარტო ეს ფულები საქმაო
იქნება ბახვში ამხანაგობის წარმატების-
თვის, რომ თავის სურვილს, ამ გზით
თუ იმ გზით უსათუოდ გაიყვანებენ.

მზურგეთის ამხანაგობის მთელად
გადატანა ბახვში ე. ი. ისე, რომ მის
მონაწილეებათ დარჩნენ იგივე საზო-
გადოებანი, რომელნიც ეხლა შეარ-
დგენენ მას, არ შეიძლება. უმთავრესი
მიზეზი ამისა არის ის, რომ ბახვი ძლი-
ერ მოშორებულია სხვა საზოგადოებე-
ზე, მზურგეთი კი შუაგულშია. მზურ-
გეთი ყველაზე უფრო მოშორებუ-
ლი ბახვსაა—რვა ვერაო; სხვა საზო-
გადოებებზე კი ორ ვერსიდან ექვს ვერ-
სამდე მეტით არ არის დაშორებული.
ბახვი კი ექვსი ვერსიდან თუთხმეტ
ვერსამდე არის დაშორებული სხვა სა-
ზოგადოებებზე. ამის შემდეგ ცხადია,
რომ უმეტეს ნაწილს ბახვი უფროეშო-
რება, და ორიოდ მანეთის სასესხებ-
ლად იქ წასვლა გაუჭირდება.

ბარდა ამისა უეჭველია, რომ ქ.
მზურგეთში უფრო ადვილია ამხანა-
გობის საქმეების წარმოებისათვის მცოდ-
ნე და სანდო პირების შოვნა, ვიდრე
ბახვში. ამხანაგობის წვერები, გარდა
ბახველებისა, ამბობენ, რომ თუ ამხა-
ნაგობა ბახვში გადავიდა, იქ ის ჩა-
უვარდებაო იქაურ მღვდლებს, რომელ-
ნიც, თუ სხვა რამ მიზეზის გამო არა,
ერთმანერთის ჯიბრით და ძტერობით
მაინც ხეიოს არ დააყრიანო მას. უნდა
მოგახსენოთ, რომ ბახვში სცნობრებენ
ერთის გვარის კაცები, რომელნიც უმე-
ტეს ნაწილად მღვდლები გახდნან.
რასაკვირველია, მათთვის საკმაო ეკლე-
სიები არ არის ამ სოფელში. აქიდგან
წარმოსდგება მათ შორის არსებობის-
თვის რძოლა ბინტირებს, მტერობას

და ჩხუბს მათ შორის ~~მტერი~~
აქვს. ბოროტი ენები ~~გმობენ~~
ზოგჯერ თვით ეკლესიაშიც გაშართუ-
ლაო ამ ღეთას ძოსამსახურე კაცები
შუა მუშტი-კრავიო.

ბახველებს მათ ჩხება ერთა ღონის-
ძიება, ის, რომ დაანებონ თავი მზურ-
გეთის ამხანაგობას და თავისი საკუ-
თარა ამხანაგობა შეადგინონ. მაგრამ
მე მაგონია, რომ ამითი ვერცერთი მხა-
რე ვერ მოიკებს, ვერც მზურგეთის ამ-
ხანაგობა და ვერც ბახვისა. თუ ისინი
ერთად არიან და მაშინ ძლიერ არსე-
ბობს ამხანაგობა, როცა ძალა გაიყოფა;
მაშინ როგორღა შეიძლება მათი წარ-
მატება! ბახვს, ჩემის აზრით, მისი მსეს-
ხებელი ვერას უშველის, რაც უნდა
კეთილი იყოს იგი.

ამ რიგად ბაბრიელ ეპისკოპოსის ულ-
ტიმატუმი მზურგეთის გამსესხებელ-
შემნახველ საზოგადოებისადმი ძლიერ
ენებს ამ უკანასკნელს და შეიძლება
კიდევაც იქნეს მიზეზი იმის დახურ-
ვისა.

რითი ახსნება ეპისკოპოსის ამისთან-
ა მეცადინეობა? საკვირველი არ არის
მისგან, რომ ოთხ საზოგადოების ინ-
ტერესს სწირავს მარტო თავის სამშობ-
ლო სოფელს? საკვირალი არ არის მის-
გან ამისთანა ვიწრო მამულის-მოყვა-
რეობა? სამწუხაროდ, საკვირველს და
ახირებულ რასმეს ვხედავთ მისის მხრით
არა ამ საქციელში მარტო, არამედ
მთელს მია უკანასკნელ ცხოვრებაში,
მთელს მის აწინდელ მოქმედებაში, რომ-
მელზედაც ვიტყვი ორიოდ სიტყვას,
თუ მკითხველი არ გამიჩინსდება

—6— ლ—ქ.

(დასასრული შემდეგში)

განცხადებანი

გაგზავალი კომიტეტი თბილისის
გუბერნიის თავად-აზნაურთა საზო-
გადოებისა უმსაწმინდალად შეუქმე-
ბალთა მოსწავლეთათვის ამით აცხა-
დებს, რომ არძების შემოტანა ბავშვე-
ბის ძილებაზედ უკოლაში ამ წლის სექ-
ტემბრიდან შეიძლება იენისის ათიდგან
აგვისტოს ოც-და-ხუთამდე. არასათან
საჭაროა იყოს წარმოდგენილი ნათლო-
ბის მოწმობა ან კანტორის, ან ადგი-
ლობრივი მღვდლისა. არძებს მიიღებს
ვიცე-პრედსედატელი გამგებელი კომი-
ტეტისა თვ. დავით ივანეს ძე ავალი-
შვილი თბილისის გუბერნიის თავად-
აზნაურთა ბანკში და უკოლის მასწავ-
ლებელი უ. შაფიანი თვით უკოლის
სადგომში, რომელიც იმყოფება ქუჩია-
ში, აკურის ქუჩაზე, თაქთაქიშვილის
ახლებში.

(6—6)

გამგზავალი კომიტეტი თბი-
ლისის კათოლიკე მღვდლებს, რომ



მე მოვიტანე პარიჟიდან ყოველ გვარი სამონღის ნიშნებით, რომლებზედაც **ვი-ლებ ზაკაზებს** კარვის პირობებით.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ეს ნიშნები უ. არწრუნის ქარვასლაში № 181, სადაც იმგნება გამოფენილი მოკლე ხნით. პარიჟის ფირმა: **Gilles et Iohan Chandon.** წარმომადგენელი ზ. იეზოვი.

(12-12)

ვიიცევა ქირით

მარიამობის პირველიდან მალაზია შეაფებთ და სხვა რიგი გამართულობით (შეიძლება უამათოთაც) მარანტოვის პამიატნიკის გვერდზე, ნაოიანოვის სახლებში.

მსურველს დაწვრილებით უ. უძლიავ გაიგოს აბესალომის მალაზიაში, სახლის ქუჩაზე.

(1-1)

დაიბეჭდა და ისეიდება მერვე კარი

„ქარამანიანისა“

ქუიის ხილზედ, მართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოევის ღუქნებში.

და აგრეთვე ისეიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი ქარამანიანისა, უასი 40 კაპ.

შუთაისში

ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისეიდება უამდეგი წიგნები:

- 1) სიტყვანი და მოკლვრებაანი — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის შაბრიელი მიერ. უასი 1 მან. და 50 კ.,
- 2) ინივი, უკეთესს ქალაღზე დაბეჭდილი. უასი 2 მან.
- 3) რუსული დასაწყისი ენის კუოსი ქართულთათვის (Практический начальный курсъ рус. языка для дружинъ — შედგენილი ზ. კ. — შეილის მიერ. უასი — 60 კაპ. მინც 20 წიგნზე ზომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობ 50 კაპეიკად.
- 4) დედა ენა — ი. ზოგება შეილისაგან, 50 კ.
- 5) სიბრძნე სიტყვის წიგნი უასი — — — — — 50 კაპ.
- 6) გუნების კარი — ი. ზოგება შეილისაგან — — — — — 70 კაპ.
- 7) პატარა ბიბლიოთეკა — იმისივე — — — — — 10 —
- 8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — — — 20 —
- 9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. შრისთეისა — — — — — 15 —
- 10) თამარ ბატონიშვილი — დრამა 5 მოქმ. — — — — — 30 —
- 11) არანკა, პოემა ზ. წერეთლისა — — — — — 20 —
- 12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —
- 13) ქარამანიანი — პირველი ექვსი წიგნი — — — — — 30 კ. და 40 კაპ.
- 14) რქალი, მული და მაუფინკები — თომ. თუთაივის — — — — — 30 —
- 15) ქართული კალენდრები 15 —
- 16) სახარება — — — — — 25 —
- 17) „გუბნიობა“ ვოდვეილი აკა-

ქისა — — — — —
 18) „ვაი ჰკუისაზან“ — — — — —
 ბოდლოვისა, ნათარგმნი ზ. წინამძღვაროვისაგან — — — — — 40 —
 19) სოლომონ ისაიის მიჯლანუაშილი — — — — — 30 —
 20) გომსანი — ლექსები — — — — — 20 —
 21) ანუკა ბატონიშვილი 20 —
 სასოფლო უკოლავს უკოვლავარი წიგნები მიეცემა ნაკლავ უასათ-მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში ძლუბის ქვეშ.

დაიბეჭდა და ისეიდება სამართავლოს

კალენდარი

უასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიადისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.
 თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ზორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. შოთში: მლისბარ ბაბალოეთან, მზურგეთში, ბრიგოლ ჯინქარაძის მაღაზიაში.
 მინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.
 ისეიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

რტ. გზა.	ლით.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამაქურნალო.
თფილისი ..	9 21	5 18	8 1	კაპ. 8. კაპ.	მცო სიტყვა თფილისიდან		თფილისი 11 ივლისს.		ქრეფ. მ. იდ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა ..	10 11	6 27	- 85	- 44	ქავეკისის აქთა მზრის ყველა		შქე. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 20	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ბორი ..	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში ..	50	შქე. წითელი ..	1 60	მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს.: ლისიცივი და
ხაშური ..	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	ქერ. ფუთი ..	1 30	ბარ. ლევიჩი — შინაგ. ავთამყოფობის.
სურამი ..	1 44		4 90	2 61	პეტერბურღს, მარაუგ.	2	ბაბა შრევისა, ფუთი.	8 20	ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს.: პერმიშვი და
შვირილა ..	5 49		7 21	3 69	მსმალეუში, შევიტარიაში . . .	3	— ამერიკისა, ფუთს . . .	9 40	ბაბოგი — გულისა და შინაგ. ავთამყოფ.
რანი ..	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში . .	3 50	ბაქტალი ბაბა ფუთი.	10 70	მყოფ.; რეიზი — თვალის, შურავ-
სამტრედია .	7 51		9 66	4 93	ინგლისში.	3 75	მატყელი თუშური ფუთი.	8 40	ღვეი — კანისა და ვენეროულის
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ფოკტა		— თრაქამისა ფუთი . . .	4 20	ბახუტოვი — ქალისა და ბავშვების.
ფოთი.	9 50		12 24	6 26	ა) თფილისიდან; სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს — კოველ დღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. და ხუთშ. — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ.		აბრეშუმ. ნუხური სტ. ძონი ფუთი	5 80	ნაგ, ბაბაევი — წერვების.
ფოთი ..	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ძონის სანთელი ფუთი.	7 60	ხუთ შ. ბ. ა. თ. ს.: პერმიშვი — შინაგ. ავთამყოფ.
ახალ-სენაკი.	10 14		1 53	- 78	და წიგნს		სტეარინის სანთელი ფ.	12 35	ნაგ. ავთამყოფ. და შურავღვეი — კანის და ვენეროულის.
სამტრედია .	11 5		2 61	1 33	და ჰ. ჰ. ჰ.		სორტი ძოხისა. დიტრა — ცხვრისა, ლიტრა . . .	81	პარარასკევეს იქნებთან: ლისიცივი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.
რიონი ..	12 13		3 84	1 97	და ჰ. ჰ. ჰ.		შაქარი ბროც. ფუთ . . .	7 10	შაბათს: პერმიშვი, რეიზი და შურავღვეი.
შვირილა ..	1 18	ღამე.	5 3	2 56	და ჰ. ჰ. ჰ.		— ფხვნილი ფუთი . . .	5 70	შურავღვეი.
სურამი ..	5 12		1 10	7 34	და ჰ. ჰ. ჰ.		შავა რვადლი გრგ. . . .	6 5	მრებტი — ეპილის ექიმი და
ხაშური ..	5 39		1 37	7 51	და ჰ. ჰ. ჰ.		შუთი ქუნჯუთისა ფუთი.	13 20	ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს
ბორი ..	7 5		4 89	24 473	და ჰ. ჰ. ჰ.		თაბქო საშუალო ფთ.	6 70	მუქთად.
მცხეთა ..	8 50		6 59	11 39	და ჰ. ჰ. ჰ.				
თფილისი . .	9 31		7 6	12 24	და ჰ. ჰ. ჰ.				